



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №70

2015 წლის 31 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი წესით უსასყიდლოდ განკარგვაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ.“ პუნქტისა და 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ( 2055 (ორიათას ორმოცდათხუთმეტი) ცალი ინდივიდუალური სკამი და 8 (რვა) ცალი რბილი ასაკეცი სკამი.) პირდაპირი წესით უსასყიდლოდ განკარგვაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გიორგი ხელაძე